საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
2021 წლის წლიური ანგარიში პროგრამების შესახებ

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება - (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 01	<u>საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება</u>	**584 899.0**	**577 919.9**	**577 679.6**	**99.9%**	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტის პირველ სართულზე მოეწყო ექიმების სამანიპულაციო ოთახი;
- განხორციელდა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის და მიმღები ცენტრის სხვადასხვა დასახელების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
- დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ 7 უცხოელს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება.
- თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში (გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფი) განხორციელდა ქსელის განახლება, დამონტაჟდა 3 სერვერი და 27 ცალი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა.
- დროებითი განთავსების ცენტრში მოეწყო ახალი საკარანტინე სივრცე და ავტოსადგომი.
- დროებითი განთავსების ცენტრში (ქ. თბილისი, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №16) განახლდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის სერვერები.
- საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტში მოეწყო და ფუნქციონირებს არასრულწლოვანებზე მორგებული სივრცე;
- სამინისტროში 11 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორია დასაქმებული. სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

პოლიციის დეპარტამენტების გარდა, სამსახური ფუნქციონირებს ყველა სხვა პოლიციის დეპარტამენტში.

- საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნული მართლწესრიგის ოფიცრების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 298 (მათ შორის 202 მართლწესრიგის ოფიცერი და 96 მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი), თანამდებობაზე დაინიშნა - 59 მართლწესრიგის ოფიცერი, ასევე - 44 მართლწესრიგის ოფიცერი გადაინიშნა მართლწესრიგის უფროს ოფიცრად.
- მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა დამატებით სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში (სრულად დაკომპლექტებულია სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ოთხი მთავარი სამმართველო (ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისის, ისანი-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოები)).

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ვიდეო კონფერენცია შინაგან საქმეთა მინისტრსა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) აღმასრულებელ დირექტორს შორის. ვიდეო კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საკითხების გენერალური დირექტორატის (DG HOME) ხელმძღვანელი, ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის (DG NEAR) ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი და საქართველოში ევროკავშირის ელჩი;
- გაცნობითი ხასიათის შეხვედრები შინაგან საქმეთა მინისტრსა და ირანის ისლამური რესპუბლიკისა და იაპონიის ელჩებს, ასევე თურქეთისა და ბელარუსის რესპუბლიკების ელჩებს შორის;
- სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროების საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი დანაყოფების შეხვედრა ვიდეო კონფერენციის მეშვეობით;
- გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და ავსტრიის რესპუბლიკის ელჩს შორის;
- ვიდეო კონფერენცია არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებს შორის, სადაც განხილულ იქნა ბავშვთა დაცვა, დრონების გამოყენება და სახის ამომცნობი სისტემები, საგზაო მოძრაობის ტექნოლოგიური გადაწყვეტები, მოწყობილობები და რადარები;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩთან;
- ორგანიზებული დანაშაულის საკითხებზე საფრანგეთის ჟანდარმერიისთვის და ეროვნული პოლიციისთვის დახმარების გაწევის მიზნით მივლენილ იქნა სამინისტროს 2 თანამშრომელი საფრანგეთის რესპუბლიკაში 6 თვის ვადით;
- ვიდეო კონფერენცია ჩეხეთის იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოში კიბერდანაშაულის სფეროში მომუშავე უწყებების წარმომადგენელთა შორის;
- ვიდეო კონფერენცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის. მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების

მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობას 2021-2022 წლებში.

- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალური ინსპექტორატის უფროსთან, უწყებებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის მიზნით;
- აშშ საელჩოს სამხედრო ძალების უსაფრთხოების განყოფილების ხელმძღვანელის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებთან, ამერიკელი სამხედროების ყოველწლიურ მრავალეროვნულ სწავლებებთან, უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა პოლონეთის ეროვნული პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილესთან და პოლონეთის ელჩთან, ასევე გაერთიანებული სამეფოს ელჩთან და EUMM-ის მისიის ხელმძღვანელთან.
- ვიდეო კონფერენციის ფარგლებში შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის „ასოცირებული ტრიოს“ ქვეყნების (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და რუმინეთის ელჩს შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელ შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მაღალი დონის დელეგაციას შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და ფილიპინების რესპუბლიკის ელჩს შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებს შორის;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის საინფორმაციო შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თემაზე „თავშესაფრის მაძიებელთა სისტემა“ საქართველოში;
- შინაგან საქმეთა მინისტრსა და ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შორის შეხვედრა;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩსა და შვედეთის სამეფოს ახლად დანიშნულ პოლიციის ატაშეს შორის;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შორის;

- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩსა და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლად დანიშნულ მრჩევლებს შორის;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ მხარდაჭერილი მაღალი დონის შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობით;
- შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შორის;
- სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი სამინისტროში განხორციელებული რეფორმების გაცნობის მიზნით;
- აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერილი საგზაო უსაფრთხოების ვიდეორგოლის პრეზენტაცია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის და აშშ ელჩის მონაწილეობით;

- **2021 წლის განმავლობაში ხელი მოეწერა შემდეგ დოკუმენტებს:**

✓ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (სამინისტროს) და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) შორის ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ“ სამუშაო შეთანხმებას;

✓ ურთიერთგაგების მემორანდუმს "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ";

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს;

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს;

✓ „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას.

ძალაში შევიდა „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით ასევე სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი შეზღუდვების აღსრულების პროცესში;
- კორონა ვირუსთან ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში სამინისტროს საექსპერტო - კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარების

დამზადება სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისთვის, რისთვისაც შეძენილ იქნა ეთანოლის სპირტი, 50% წყალბადის ზეჟანგი, გლიცერინი და გამოხდილი წყალი.

- სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაციის ყოველწლიური შეფასება და შეინარჩუნა ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მიხედვით. კერძოდ, აკრედიტაცია შეინარჩუნა - 6 ლაბორატორიამ: ქ. თბილისის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ; ქ. თბილისის ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ; ქ. თბილისის დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორიამ; გორის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ; ახალციხის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ; ქ. ბათუმის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ. განხორციელდა დამატებით ორი ექსპერტიზის ლაბორატორიის აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მიხედვით. კერძოდ, აკრედიტაცია მიიღო ქ. თბილისის ბალისტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიამ და ქ. ბათუმის დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორიამ.
- ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო, მოხდა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დნმ ლაბორატორიის მუშაობის გადაწყობა და დნმ ექსპერტიზების ჩატარების ნაცვლად, ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობდა ახალი კორონა ვირუსის SARS-CoV2-ის PCR (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.
- ISO17025:2017 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით აკრედიტაციის მოსაპოვებლად სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში დამტკიცდა მეთოდური სახელმძღვანელოები, სტანდარტული სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურები, ასევე, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტებმა გაიარეს საერთაშორისო პროფესიული ტესტირება, ამერიკული აკრედიტებული კომპანიების (CTS, RS&A) მიერ მოწოდებული ტესტებით (აღნიშნული ტესტებით ხდება ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების კვალიფიკაციის შემოწმება და დადასტურება).
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდებოდა სამინისტროს მასშტაბით კავშირგაბმულობის სისტემის „Dimetra”-ს განახლების და მხარდაჭერის მომსახურების (ვადაგაგრძელებული საგარანტიო მომსახურება) პროცესი.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი მრავალწლიანი პროექტები:

- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5-ში მდებარე შენობა №15(1)-ის და №28(1) სადემონტაჟო და ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ში არსებული სველი წერტილების სარემონტო სამუშოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ადლიას ქუჩა №112-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი

საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულების სამუშაოები (სამინისტროს მხრიდან პროექტის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხები სრულად გადახდილია, დანარჩენი თანხების ანაზღაურება ხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მიერ).

- ქ. თბილისში, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის I სამმართველოს ტერიტორიაზე შენობების სარემონტო სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიბახევში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო და ავტოსადგომის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის III სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის №01(10)-ის ფასადზე გაკრული ეკლარის ქვის გამაგრების და დაზიანებული ქვის შეცვლის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის №1(6)-ის სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა III სამმართველოს ტერიტორიაზე შენობებისა და გარე ხელსაბანის სარემონტო და ღობის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის II სამმართველოს შენობების სარემონტო სამუშაოები;
- მცხეთაში, ღვინჯილიას ქ. №1-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა N01-ის სახურავის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა №16-ში მდებარე, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების და ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №3-ში მდებარე, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახურის ტერიტორიაზე შესასვლელი ცენტრალური გორგოლაჭიანი ჭიშკრის გაღება-დაკეტვის მექანიზმის მოწყობის სამუშაოები.
- ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაჩიანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დასრულების სამუშაოები;
- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გახოკიძის ქ.№16) გარე ფასადის სამღებრო-სარემონტო და მიგრანტთა სასეირნოს მოწყობის სამუშაოები, ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობის სარემონტო და სახურავის შეცვლის სამუშაოები;

- ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №10-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ცენტრალურ შესასვლელში ალუმინის ვიტრაჟის ნაწრთობი მინის ავტომატური გამღები მექანიზმის კარით მოწყობის სამუშაოები და იატაკის მარმარილოს ფილების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ძაღლებისთვის ვოლიერების სამშენებლო სამუშაოები;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო სასაზღვრო ზოლთან, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის, სახმელეთო სასაზღვრო სექტორის სამშენებლო სამუშაოები.
- ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №6-ში მდებარე სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შენობის სარდაფის სართულზე, სასროლეთის (ტირი) მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №10-ში მდებარე, სამინისტროს ტერიტორიაზე განთავსებული დაცვის ჯიხურის დემონტაჟი და ახალი დაცვის ჯიხურის მოწოდების სამშენებლო სამუშაოები.
- თბილისში, გულუას ქ. №8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- გურჯაანში, ნონეშვილის გამზირი №6-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის, დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობის, ძაღლების ვოლიერის შენობის, დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე შენობის №23/2 სარემონტო და შენობაზე საქვაბე ნაგებობის მიშენების სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის III სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- საჩხერეში, ივანე გომართელის ქუჩა №22-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო, ღია ფარდულის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ხის კარების სამონტაჟო სამუშაოები.
- ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩა №38-ში მდებარე, სამინისტროს ტერიტორიაზე 300 კვ.ტ სიმძლავრის მზის ელემენტების მოსაწყობად, ლითონის კონსტრუქციების მოწყობის სამშენებლო და სატრანსფორმატორო შენობაზე მზის ელემენტების მართვის აპარატურისთვის მიშენების სამუშაოები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დანერგილი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას მტკიცებულებათა მოძიების თანამედროვე მეთოდები;

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირება;
- დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული მიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა;
- რეაბილიტირებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა;
- განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- განახლებული სამინისტროს ავტოპარკი;
- ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- ამაღლებული საგზაო უსაფრთხოების დონე და გაზრდილი საგამოძიებო ღონისძიებების ეფექტიანობა;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაფორმებულია თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმები, ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ სამუშაო შეთანხმება და უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება.
- რეაბილიტირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი;
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურა;
- განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- განახლებულია სამინისტროს ავტოპარკი;
- განხორციელებულია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებები;
- უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეტაპზე არასრულწლოვანების და ზოგადად მოწმის და დაზარალებულების ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი და შექმნილი ნაკლებ სტრესული გარემო;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციის UNICEF-ის დახმარებით ქ. რუსთავის პოლიციის შენობაში შექმნილი ბავშვზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებული იქნება დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შშმპ), ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); დღეის მდგომარეობით სამინისტროს სისტემაში მოწმისა და

დაზარალებულის კოორდინატორების ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის შექმნილია შესაბამისი სამართლებრივი ბაზა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ინსტიტუტი ფუნქციონირებს ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში. სამინისტროს ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის შენობებში შექმნილი ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებულია დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების შენობებში შექმნილი ბავშვზე მორგებული სივრცეები; სამინისტროში არსებობს მოწმისა და დაზარალებულის მინიმუმ 5 კოორდინატორი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: ბავშვზე მორგებული სივრცე დამატებით მოეწყო და ფუნქციონირებს სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტში; სამინისტროში არსებობს მოწმისა და დაზარალებულის 11 კოორდინატორი (სამსახური ფუნქციონირებს ყველა პოლიციის დეპარტამენტში გარდა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტებისა).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე. ცდომილება 30%. COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო შეფერხდა ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობა შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება/მემორანდუმი გაფორმებულია 33 პარტნიორ სახელმწიფოსთან (სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩინეთი, ჩეხეთი, ეგვიპტე, ესტონეთი, ფიჯი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, კატარი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, აშშ, უზბეკეთი); გაფორმებულია ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი განცხადებები ევროპის 6 სახელმწიფოსთან (ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუმინეთი); გაფორმებულია თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები, გერმანიის 4 ფედერალური მიწის (რაინლანდ–პფალცი, ბადენ–ვიურტემბერგი, ჰესენი, საქსონია) შესაბამის სამინისტროებთან; უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია ევროკავშირთან და 7 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ბელარუსი, დანია, ისლანდია, მოლდოვა, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა), ევროკავშირის წევრ 12 სახელმწიფოსთან (ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, სლოვაკეთი, გერმანია, რუმინეთი, ჩეხეთი), ხელმოწერილია რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები; გაფორმებულია 14 შეთანხმება საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, უნგრეთი, ისრაელი, იორდანია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტის ორდენი, რუსეთი,

უკრაინა), 9 პარტნიორ სახელმწიფოსთან გაფორმებულია შეთანხმება სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ესტონეთი, თურქეთი, ლატვია, მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა, ჩინეთი). დღეის მდგომარეობით სამინისტროს მიერ მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში შეთანხმებები ჯერ არ არის გაფორმებული;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან გაფორმებული შეთანხმება; ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიასთან გაფორმებული მემორანდუმი; სხვა შესაბამის ქვეყნებთან მოლაპარაკების/კონსულტაციის წარმოება შეთანხმებების და მემორანდუმების გაფორმების მიზნით; უკრაინასთან გაფორმებული ერთობლივი განცხადება, სხვა შესაბამის ქვეყნებთან კონსულტაციის წარმოება; ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალიასთან გაფორმებული მემორანდუმი, სხვა შესაბამის ფედერალურ მიწებთან კონსულტაციის წარმოება; სერბეთთან გაფორმებული რეადმისიის შესახებ შეთანხმება და ლატვიასთან გაფორმებული რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმი, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება; ავსტრიასთან გაფორმებული შეთანხმება, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება; სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ესტონეთთან გაფორმებული ოქმი; სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება; მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში იტალიასთან გაფორმებული შეთანხმება; სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: 2021 წელს ხელი მოეწერა: სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს, „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ” ურთიერთგაგების მემორანდუმს და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (სამინისტროს) და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) შორის ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ სამუშაო შეთანხმებას.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდა ყველა დაგეგმილ მხარესთან ხელშეკრულების გაფორმება. ზემოთ, აღნიშნული გამოწვევის მიუხედავად 2021 წლის განმავლობაში სხვა ქვეყნებთან გაფორმდა ხელშეკრულებები/მემორანდუმები.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დროებითი მოთავსების იზოლატორების 75% შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან; დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ინვენტარის 90% ვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული ქუთაისის, ბათუმის, ზესტაფონის, თელავის და რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორები; არსებული ინვენტარის 4% განახლებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: აშენებულია გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორი; იზოლატორების 94% აღჭურვილია საჭირო ინვენტარით.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 5 სამმართველოში სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს სულ - 365 მართლწესრიგის ოფიცერი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მართლწესრიგის ოფიცრების რაოდენობა შეადგენს 416-ს;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს, დაგეგმილიდან განხორციელდა: ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულია - 298 მართლწესრიგის ოფიცერი. ამასთან, სრულად დაკომპლექტებულია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ოთხი მთავარი სამმართველო (ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისის, ისანი-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოები).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო შეფერხდა ახალი კადრების აყვანის პროცედურები.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს ბალანსზე არსებული მდგომარეობით ირიცხება 316 ადმინისტრაციული შენობა მათი მხოლოდ 30% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის 5%. აშენებული კიდევ 5 ობიექტი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს, დაგეგმილიდან განხორციელდა: რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის დაახლოებით 5% აშენებულია - 4 შენობა.

- აშენებულია გურჯაანში, ნონეშვილის გამზირი №6-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, დროებითი მოთავსების იზოლატორი, ძაღლების ვოლიერი და დამხმარე შენობა-ნაგებობა;
- აშენებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელმწიფო სასაზღვრო ზოლთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის სახმელეთო სასაზღვრო სექტორი;
- აშენებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაჩიანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა;
- აშენებულია ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა;

- გარემონტებულია ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიბახევში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა;
- გარემონტებულია საჩხერეში, ივანე გომართელის ქუჩა №22-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა;
- სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა თბილისში, გახოკიძის ქუჩა №16-ში მდებარე სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე;
- გარემონტებულია თბილისში, მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის III სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობა;
- გარემონტებულია ქ. თბილისში, გულუას ქ.№8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1(6);
- გარემონტებულია ზუგდიდში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის II სამმართველოს შენობები;
- მცხეთაში, ღვინჯილიას ქ. №1-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01-ის სახურავს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყვეტილია: დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქ.№30-ის მიმდებარედ განთავსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები; გარდაბანში, სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს დანაყოფებისთვის: ყაზარმის, სასადილოს, სპორტდარბაზის, გამშვები პუნქტის, ავტოფარდულის, სამი ცალ-ცალკე მდგომი სველი წერტილის შენობისა და საქვაბის სამშენებლო სამუშაოები და ადიგენის რაიონი სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. არსებული მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70%;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 5% განახლებული სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: 5%-ით განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა მ.შ შეძენილია: კავშირგაბმულობის საშუალებები (ხელის რადიოსადგურები), სასერვერო აპარატურა (თანმდევი მომსახურებით), ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის სისტემა (თანმდევი მომსახურებით), მაღალი წარმადობის პრინტერები, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი), ზოგადი ხედვის ვიდეოსამეთვალყურეო კამერები (მონტაჟით), ნივთიერ მტკიცებულებათა დასალუქი პაკეტები, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად: 1 ერთეული

საიდენტიფიკაციო დაქტილოსკოპიური „ДАКТО 2000“-ის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, გაზური ქრომატოგრაფის სახარჯი მასალები, გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო სახარჯი მასალები, სხვადასხვა სახის ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული დანადგარების სახარჯი მასალები, სხვადასხვა სახის კრიმინალისტიკური ინვენტარი. ასევე სამინისტროს რეაბილიტირებული და ახლად აშენებული შენობებისთვის შეძენილია სხვადასხვა სახის ავეჯი. სამინისტროს მოსამსახურეებისთვის შესაბამისი უნიფორმები და აღჭურვილობა.

7. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტროს მიერ მუდმივად მიმდინარეობს საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების განახლების პროცესი მაგალითად 2019 წელს შეძენილია 100 ერთეული, ასევე ოპერატიული დანაყოფებისთვის 2019 წელს - 280 ერთეული, თუმცა სამინისტროს სფეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული რაოდენობის და მოდიფიკაციის სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს ავტოპარკის საჭიროებისამებრ განახლებას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საპატრულო პოლიციისთვის შეძენილია - 150 ერთეული სატრანსპორტო საშუალება; ოპერატიული დანაყოფებისთვის შეძენილია 50 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი და 50 ერთეული მსუბუქი ავტომობილი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საპატრულო პოლიციისთვის შეძენილია 100 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და ოპერატიული დანაყოფებისთვის 300 ერთეული სპეციალიზებული (პიკაპი) ტიპის სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოწოდება განხორციელდა 2021 წელს, თუმცა თანხის გადახდა განხორციელდება მომდევნო წლებში (2022-2025 წ.წ.).